PDF Eraser Free

დანართი №2

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“
კულინარიის ხელოვნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ალინა კუპრავა
წევრები:
გენადი კვერენჩხილაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: ა(ა)იპ
საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 26 მარტის N287697 ბრძანების საფუძველზე ა(ა)იპ კოლეჯ „პრესტიჟში" პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ კულინარიის ხელოვნება“ პროგრამის დამატების მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შედგა გასაუბრების განრიგი.

განრიგის შესაბამისად 2021 წლის 14 აპრილს განხორციელდა შემდეგი აქტივობები: ადმინისტრაციასთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; საგანმანთლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება; სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება; საგანამანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება; პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; ბიბლიოთეკის და საგანამანათლებლო რესურსის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; გასაუბრება პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან; დოკუმენტაციის ანალიზი(პირველადი დოკუმენტაცია და კოლეჯის არგუმენტირებული პოზიცია), დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ დაფიქსირებულა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

VII. რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.

1. 1.დაწესებულებას დამტკიცებული აქვს დირექტორის 2021 წლის 12 მარტის N01-4/47 ბრძანებით (ცვლილებები შესულია დირექტორის 2021 წლის 21 მაისის N01-4/84 ბრძანება) ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით პროგრამის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესყიდვის პროცედურები, მათი მონტაჟის და ტრაპების მოწყობის პერიოდები დაგეგმილია მაისიდან - ოქტომბრის ჩათვლით, არაუმეტეს ექვსი თვის ვადაში, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესყიდვა, მათი მონტაჟი და ტრაპების მოწყობა.

3. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს დირექტორის 2021 წლის 12 მარტის N01-4/47 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმის თანახმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის, რომლებიც ახლად ერთვებიან პროფესიულ განათლებაში, გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელების საკითხებში ტრენინგების აუცილებლობა, რომელიც უნდა ჩატარდეს აგვისტოს ბოლომდე. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომედებულია დაწესებულებას გეგმით დადგენილ ვადებში განახორციელოს პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება პროფესიული განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლების და შეფასების კომპეტენციის განვითარებისათვის.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.

PDF Eraser Free

7. შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტს და დადგენილი რენტაბელობის ზღვარის გათვალისწინებით, განახორციელოს შემოსავლების და ხარჯების ნაწილის დაზუსტება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	კულინარიის ხელოვნება
პროფესიული განათლების დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	პროგრამა დამტკიცებულია 2021 წლის 19 თებერვლის 01-4/29 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	მისამართი: თელავი, ქართული უნივესიტეტის ქ. N1
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 (მოდულური მიდგომით) მისამართი: თელავი, ქართული უნივესიტეტის ქ. N1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	80
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	95

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

კოლეჯის გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კულინარიის ხელოვნება“ განხორციელების შესახებ ეფუძნება ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ მისიას , სტრატეგიული განვითარების გეგმას და შესაბამის დასაბუთებას. კოლეჯს შემუშავებული აქვს „ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების წესი“, რომლის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კულინარიის ხელოვნება“ შემუშავების დროს, გათვალისწინებული იყო მისი განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას კოლეჯმა გაითვალისწინა: • პროგრამის მიმართულებით სწავლების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება; • მოთხოვნა სწავლის მსურველთა, და დამსაქმებელთა მხრიდან; კულინარიის ხელოვნების დარგის ხელშეწყობა; ევროკავშირის პროექტის “ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა-უნარების განვითარებისთვის” ფარგლებში, განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით, 2020 წელს ჩატარებული კვლევის - “პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და პროფესიული კვალიფიკაციების მოთხოვნა - მიწოდების შეფასება” - შედეგები. აღნიშნული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ კახეთის რეგიონში მიმდინარე ინვესტიციები ძირითადად მიმართულია ტურიზმის სფეროსკენ. როგორც კვლევის ანგარიშიდან ჩანს, კახეთის განვითარების პერსპექტივები უკავშირდება რეგიონში ტურიზმის მიმართულებით განვითარების დიდ პოტენციალს. გარდა არსებული, მოქმედი ტურისტული კომპლექსებისა, თითქმის ყველა რაიონში მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის სასტუმროს მშენებლობა-განვითარება. ამასთანავე, კვლევამ ცხადყო, რომ მომდევნო 3 წლის განმავლობაში კახეთში იგეგმება შესაბამისი ინვესტიციების მოზიდვა ტურიზმის სფეროს განსავითარებლად. რაც თავის მხრივ, გაზრდის „კულინარიის ხელოვნება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შანსს. კახეთში, მზარდი ინდუსტრიული თუ ტურისტული პოტენციალის პირობებში, ახლად გახსნილი რესტორნების, კაფე-ბარების და სასტუმროების საკადრო პოლიტიკიდან გამომდინარე, მომსახურების სფეროს ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი და აქტუალური პროფესიაა - კულინარიის ხელოვნება.

ამასთანავე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კულინარიის ხელოვნების“ ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ექნებათ ეზიარონ როგორც ქართული სამზარეულოს ტრადიციულ კულტურას, ასევე საერთაშორისო სამზარეულოს გავრცელებული კერძების მომზადებას. აგრეთვე, დიდია კურსდამთავრებულთა შემდგომი თვით დასაქმების შესაძლებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“ მრავალი წლის განმავლობაში აქტიურად ახორციელებდა კულინარიის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამას „მზარეული“ პირველ, მეორე და მესამე საფეხურების საგნობრივ სწავლებას. კოლეჯს გარკვეული გამოცდილება აქვს კულინარიის მიმართულებით სწავლებაში, შესაბამისად, მაღალკვალიფიციურ და გამოცდილ სპეციალისტებთან/ პედაგოგებთან ერთად, შესაძლებელია ხარისხიანი პროფესიული განათლების შეთავაზება პოტენციური სტუდენტებისათვის. სწავლების გამოცდილებამ ცხადყო, რომ პროგრამის კურსდამთავრებულების დიდი ნაწილი ამჟამად დასაქმებულია და ისინი წარმატებით ახდენენ კოლეჯში მიღებული ცოდნის რეალიზებას. • პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მზარეული“ კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დასაქმების საშუალო მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია და შეადგენს 68% ;

• კურსდამთავრებულთა უმეტესობა ამჟამად დასაქმებულია სპეციალობით; კოლეჯში მიღებულმა ცოდნამ და გამოცდილებამ მათ საშუალება მისცა წარმატებით გაერთვათ თავი პროფესიული საქმიანობისთვის.

• აღნიშნული პროგრამის კურსადმთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ ნებისმიერი ტიპის სასტუმროში, რესტორანში, შინა მეურნეობებში და სხვა კვების ობიექტებში შემდეგ პოზიციებზე: სასურსათო კვების მომსახურების პუნქტების მომსახურე პერსონალი, მზარეულები, სამზარეულოში დამხმარეები, სადაც გეგმავენ, ორგანიზებას უკეთებენ და ამზადებენ საკვებს.

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

დამტკიცებულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: საბაზო განათლება; დაწესებულებას დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურას. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება ხდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ შესაბამისად. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯს დამტკიცებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია რაც ითვალისწინებს: პროგრამის განხორციელების მიდგომებს, მის სპეციფიკას, ადამიანურ რესურსს, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დამატებით ფაქტორებს, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას და სხვა. **შესაბამისად კოლეჯი პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

დაწესებულების მიერ ,,კულინარიის ხელოვნება“ პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და ასევე, საგანმანათლებლო რესურსების ანალიზით და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

დირექტორის ბრძანებით დამიტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ,,კულინარიის ხელოვნება“ გათვალისწინებული არ არის არჩევითი მოდული.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

2019 წლის 11 ივნისის #B19065167/3 გადაწყვეტილებით დამტკიცებული კოლეჯის წესდების თანახმად, განსაზღვრულია პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი, კერძოდ, წესდების მე-4 მუხლის გ) ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კულინარიის ხელოვნება“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის/კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N01-4/29 ბრძანებით.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კულინარიის ხელოვნება“ სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, ასრულებს პროგრამის იდენტიფიკატორის ფუნქციას, შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

,,კულინარიის ხელოვნება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი ,,სასტუმრო, რესტორანი და კვება“ . დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების დაწესებულების მიერ წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის პაკეტი მოიცავს: პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებს, სასწავლო გეგმას, ინფორმაციას პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდული - ,,ქართული ენა A2“ და აღნიშნული მოდულის განხორციელების სასწავლო გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია;
- სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N01-4/29 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 29 აგვისტოს N272 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ცვლილება - ბრძ.N01-4/17 29.01.2021);
- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 22 თებერვლის N01- 4/34 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი;
- 2019 წლის 11 ივნისის #B19065167/3 გადაწყვეტილებით დამტკიცებული კოლეჯის წესდება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- დირექტორის 2019 წლის 30 აგვისტოს N290 ბრძანებით (ცვლილება - ბრძ. N01-4/24, 17.06.2020; N01-4/10, 25.01.2021) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების მასში ცვლილების (მოდიფიცირების) და გაუქმების წესი“;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 17 ივნისის N01-4/23 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება ბრძ. N01-4/112, 30/11/2020; N01-4/6, 21.01.2021);
- კოლეჯის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევის „სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნის შესწავლა“ ანგარიში.
- დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

დაწესებულებამ კონტიგენტის განსაზღვრისას გაითვალისწინა: A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 15; B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა -15; C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 15; მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო A გარემოში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ A გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეული საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს; ზოგიერთი მოდულის განხორციელებისათვის, როგორიცაა „ინფორმაციული წიგნიერება“, საჭირო სასწავლო B გარემოს დატვირთვა არის პროგრამის ფარგლებში მხოლოდ 5%, კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ განხორციელებისათვის A სასწავლო გარემო აღჭურვილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის განკუთვნილი მაგიდით, სკამით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და სკამით, მასწავლებლისათვის განკუთვნილი ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, ქსელური პრინტერით და დემონსტრირების საშუალებით - პროექტორით. B სასწავლო გარემო აღჭურვილია ინტერნეტის ქსელში ჩართული 16 კომპიუტერით, ქსელური პრინტერით და დემონსტრირების საშუალებით - პროექტორით. დარგობრივი მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ორი C გარემო, სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ C გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეული საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს; პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სწავლება მოდულზე „გაცნობითი პრაქტიკა“, რომლის მიზანია, პროფესიულ სტუდენტს სწავლების დასაწყისში შეუქმნას წარმოდგენა შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სფეროს, დასაქმების შესაძლებლობების, ორგანიზაციული მოწყობისა და პოზიციების, შრომითი ურთიერთობების შესახებ. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ ხდება სასწავლო ექსკურსიის/გაცნობა დათვალიერების ორგანიზება პრაქტიკის ობიექტზე, სადაც კოლეჯს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კულინარიის ხელოვნება“ მოდულის „სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“ პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე, რომელებიც აღჭურვილია პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული სათანადო ინვენტარით და რომლებთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები/ხელშეკრულებები. ხელშეკრულება გაფორმებულია 6 პარტნიორ ორგანიზაციასთან. აღნიშნული ხელშეკრულებების თანახმად, თითოეულ მათგანს შეუძლია პრაქტიკის ობიექტზე მიიღოს 5 პროფესიული სტუდენტი (ჯამში მაქსიმუმ - 30 სტუდენტი). დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2021 წლის 12 მარტის N01-4/47 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმის თანახმად პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსის შესყიდვა(შესასყიდია პროგრამით გათვალისწინებული სპეციფიკური/დარგობრივი მატერიალური რესურსების დაახლოებით 95%) განხორციელდება სასწავლო პროცესის დაწყებამდე. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა , რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ფინანსური ნაწილის დაკმაყოფილებაზე შეთანხმება მიღწეული იყო და უნდა განხორციელდეს კოლეჯის მიერ მოთხოვნილი დაფინანსების გადმორიცხვა კოლეჯის ანგარიშზე, რათა დაიწყოს შესყიდვის პროცედურები. გაუმჯობესების გეგმის თანახმად შესყიდვის პროცედურა უნდა დასრულდეს 2021 წლის სექტემბერში(6 თვის ვადაში), დისტანციური ვიზიტის დროს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი არ იყო, ვინაიდან დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ვერანაირი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა ზ/აღნიშნული ფაქტი, მათ მხოლოდ ზეპირი თანხმობა მიიღეს ზ/აღნიშნული სამინისტროდან. ექსპერტების პოზიციით იმ ეტაპზე მაშინ, როცა ფინანსური რესურსი ჯერ არ ჰქონდა კოლეჯს, სავარაუდო თარიღიც არ იყო განსაზღვრული თანხის ჩარიცხვის, რომ დაიწყოს კოლეჯს დაეწყო შესყიდვა, რომელსაც ასევე სჭირდება გარკვეული პროცედურები (ტენდერის გამოცხადება, გამარჯვებულის გამოვლენა, კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმება, შესყიდვა და მიღება-ჩაბარების გაფორმება, რესურსების კოლეჯში მობილიზება და მონტაჟი) იყო რისკები ამ გეგმის დადგენილ ვადებში შესრულების თვალსაზრისით. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა არ იყო უზრუნველყოფილი კოლეჯის და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტი; ზღვრული რაოდენობა არის 30).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

<u>დაწესებულებას მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილყო გაუმჯობესების გეგმა, რის შემდეგაც დაეზუსტებინა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესყიდვის პროცედურები(დაწყება-დასრულება) , მათი მონტაჟის და ტრაპების მოწყობა, აღნიშნული გარემოების საფუძველზე ექსპერტების მხრიდან 2.2. კომპონენტი შეფასდა - სტანდარტთან შეუსაბამოდ,</u>

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის დანართს წარმოადგენდა დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, ანალიზით ირკვევა, რომ გაფორმებულია 2021 წლის 18 მაისის ხელშეკრულება N55 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ა(ა)იპ კოლეჯ „პრესტიჟს“ შორის, რომლის საგანს წარმოადგენს ავტორიზაციისათვის საჭირო აღჭურვილობის შეძენის მიზნით ფინანსური ხელშეწყობა. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 889.503.41 (რვაას ოთხმოცდაცხრა ათას ხუთას სამი ლარი და ორმოცდაერთი თეთრი) ლარს. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ განსახორციელებლად საჭირო ინვენტარისა და აღჭურვილობისთვის გამოყოფილია 164438.00 ლარი, რაც კოლეჯს აძლევს შესაძლებლობას განახორციელოს კანონდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის პროცედურები (ტენდერის გამოცხადება, გამარჯვებულის გამოვლენა, კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმება, შესყიდვა და მიღება-ჩაბარების გაფორმება, რესურსების კოლეჯში მობილიზება და მონტაჟი, აგრეთვე ტრაპების მოწყობა) შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ცვლილებებით დამტკიცდა (დირექტორის 2021 წლის 21 მაისის N01-4/84 ბრძანება) ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესყიდვის პროცედურები მათი მონტაჟის და ტრაპების მოწყობა დაგეგმილია მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით , არაუმეტეს ექვსი თვის ვადაში;

დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია, გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესყიდვა, მათი მონტაჟი და ტრაპების მოწყობა.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კულინარიის ხელოვნება განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა (სულ - 26 პროფესიული განათლების მასწავლებელი) და მათი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ, მოდულების უმრავლესობაზე მინიმუმ 2 მასწავლებელია გათვალისწინებული. უფლებამოსილი პირი, საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახდენს პედაგოგთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საათობრივი დატვირთვის განაწილებას მოდულების შესაბამისად. განაწილებისას გათვალისწინებულია მასწავლებელთა რეალური შესაძლებლობები/კომპეტენციები, რომლითაც უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა. აგრეთვე, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილების დროს მხედველობაშია მიღებული ის, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო არ შემოიფარგლება მხოლოდ საკონტაქტო საათების ჩატარებით, ის ასრულებს სხვა მნიშვნელოვან აქტივობებსაც, როგორიცაა მომზადება მეცადინეობისათვის, საორგანიზაციო საკითხები, სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, პროგრამის ხელმძღვანელობა, მონაწილეობა საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში და სხვა. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად მათი რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

კოლეჯს შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომელშიც განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კულინარიის ხელოვნება განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას, <u>დაწესებულებას დამტკიცებული აქვს დირექტორის 2021 წლის 12 მარტის N01-4/47 ბრძანებით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმის თანახმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის, რომლებიც ახლად ერთვებიან პროფესიულ განათლებაში, გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელების საკითხებში ტრენინგების აუცილებლობა, რომელიც უნდა ჩატარდეს აპრილის ბოლომდე. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომედებულია დაწესებულებას გეგმით დადგენილ ვადებში განახორციელოს პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება პროფესიული განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლების და შეფასების კომპეტენციის განვიტარებისათვის.</u>

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი, რომლის დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება დარგის სპეციალისტად მუშაობის გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 20 იანვრის N 01-4/5 ბრძანებით, ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების წესის მეოთხე მუხლის თანახმად: სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მენეჯერთან ერთად მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, ხელს უწყობს პროგრამის განხორციელებას, განვითარებას და მასში ცვლილებების შეტანას, ასევე მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციაში, ფორმალური განათლების აღიარების პროცესში და სხვა. უზრუნველყოფს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსის არგუმენტირებულ დასაბუთებას, აცნობს სტუდენტებს კოლეჯის შინაგანაწესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, ახდენს სტუდენტების ინფორმირებულობას მათი უფლება-მოვალეობების შესახებ.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

კულინარიის ხელოვნება საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით. კოლეჯის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ბიბლოთეკაში განთავსებულია კომპიუტერი, პრინტერი, ასლგადამღები აპარატი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის. ელექტრონული რესურსები ჩაწერილია დისკზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინიდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს აქვთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსთან, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნილებების მიხედვით. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და ორი ჟესტური ენის თარჯიმანი. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირების მხარდასაჭერად დაწესებულება უზრუნველყოფს დამატებით ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ასისტენტის და სხვა მხარდამჭერი პირების აყვანას, რომელთა დახმარებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შედგება ინდივიდუალური გეგმები და ადაპტირდება სასწავლო რესურსები. ინკლუზიური განათლების სპეციალისტი უზრუნველყოფს სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესისა და სასწავლო გარემოს განსაზღვრას მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად, უზრუნველყოფს სსსმ პროფესიული სტუდენტის სამუშაო და სასწავლო მასალების ადაპტირებას.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

სახელმწიფო ბიუჯეტით უზრუნველყოფილია პროგრამის კულინარიის ხელოვნება განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის სასწავლო მასალების ღირებულებას, პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებულ ხარჯებს,როგორიცაა სასწავლო ექსკურსიები, ვორქშოპები და სხვა. პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებს ასევე ადმინისტრირების (ხელფასებს, კომუნალურ, საკომუნიკაციო და სხვა) საოპერაციო ხარჯებს .

<u>შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტს და დადგენილი რენტაბელობის ზღვარის გათვალისწინებით, განახორციელოს შემოსავლების და ხარჯების ნაწილის დაზუსტება.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N01-4/29 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დანართი 2- სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი;
- დანართი 3- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის (დირექტორის 2019 წლის 29 აგვისტოს N262 ბრძანება) შესაბამისად;
- მასწავლებლების მიერ ტრენინგების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები, ცნობები;
- მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმი/ხელშეკრულება.
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 31 დეკემბრის N01-4/151 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების ხელშეკრულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 17 ივნისის N01- 4/23 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ცვლილება (ბრძ.N01-4/112, 30/11/2020; N01-4/6 21.01.2021);
- ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- დაფინანსების შესახებ ხელშეკრულება N55;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯში მოქმედებს „განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“, რომელიც მოიცავს ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას - „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“; კოლეჯში ასევე, მოქმედებს „პროფესიული საგანმანათლებლი პროგრამის შემუშავების, დამტკიცების მასში ცვლილების (მოდიფიცირების და გაუქმების წესი“, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანას, ასევე პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას, შესაბამისი ბაზრის კვლევის ან სხვა საჭიროებიდან გამომდინარე. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს რეგულაცია „ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია“, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება კოლეჯის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმია, რომელიც ეფუძნება ხარისხისციკლს (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე) და ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულების დადამსაქმებლების, პროფესიული სტუდენტების, სოციალური პარტნიორების, და ა.შ., ასევე,პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთანკონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მეთოდოლოგია მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად/ გასაუმჯობესებლად,ხელს უწყობს კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილ,ხარისხიან და ეფექტურ განხორციელებას. გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯის მიზანია გააუმჯობესოს სასწავლო პროგრამები,დააახლოვოს ისინი სახელმწიფო სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, შექმნასპროგრამების განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო და სამუშაო გარემო, კოლეჯირეგულარულად ახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას, კერძოდ: ა) დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, პროფესიულისტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები) გამოკითხვას; ბ) სასწავლო პროცესზე დაკვირვებას; გ) კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევას; დ) პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსისშეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზს; აღნიშნულ მეთოდოლოგიას თან ახლავს შემდეგი სახის კითხვარების ფორმები: მოლოდინების შეფასების კითხვარი; პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის/მასწავლებლის შეფასების კითხვარი; პროფესიული მასწავლებლის მიერ მოდულის შეფასების კითხვარი; კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა; მონიტორინგისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შეფასების საათზე დასწრების კითხვარი; მონიტორინგისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფის საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი; დამსაქმებლის კითხვარი. მეთოდოლოგიების და პროგრამის განხორციელების დასაბუთების ანალიზით, დასტურდება რომ, კოლეჯი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია, რომლებიც ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განახორციელებას საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში, გაწერილი პროცედურების შესაბამისად. განათლების ხარისხის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯში შექმნილია მონიტორინგისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიერ ჩატარებული გამოკითხვებისა და მეცადინეობებზე დასწრების მასალების ანალიზის საფუძველზე, მოხდება პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შევა საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების დაცვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2019 წლის 30 აგვისტოს N300 ბრძანებით (ცვლილება - ბრძ. N01-4/25, 18.06.2020; N01-4/124, 7.12.2020) დამტკიცებული „განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“;
- დირექტორის 2019 წლის 30 აგვისტოს N290 ბრძანებით (ცვლილება - ბრძ. N01-4/24, 17.06..2020; N01-4/10, 25.01.2021) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლი პროგრამის შემუშავების, დამტკიცების მასში ცვლილების (მოდიფიცირება) და გაუქმების წესი“;
- დირექტორის 2020 წლის 23 ოქტომბრის N01- 4/90 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 01-4/11 25.01.2021) „ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია“;
- დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კულინარიის ხელოვნება" სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმაში, რომელიც აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებებისათვის. კოლეჯს შემუშავებული აქვს ,,კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების წესი", რომლის საფუძველზეც მოდულების დაწყების წინ პროფესიული განათლების მასწავლებლები შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის სრულყოფილ დაგეგმვას და კონკრეტული მოდულის განხორციელების გამჭვირვალობას.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად. კოლეჯში სასწავლო პროცესი დაიგეგმება იმგვარად, რომ პროფესიულ სტუდენტებს არ შეექმნათ ტრანსპორტირების პრობლემა. კოლეჯი მოქნილად რეაგირებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შესაძლებლობა სხვადასხვა შემთხვევებისათვის (სსსმ სტუდენტის სტატუსი, მობილობა, სტატუსის აღდგენა და სხვა).

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კულინარიის ხელოვნება" სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, რისთვისაც მნიშვნელოვანია მასწავლებლების კომპეტენცია. პროფესიული განათლების მასწავლებლები თავის თავში ორ კომპონენტს აერთიანებენ: სწავლება და დარგობრივი კომპეტენცია. სწავლების მიმართულებით ისინი პერიოდულად ეცნობიან და საკუთარ საქმიანობაში ნერგავენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს. რისთვისაც კოლეჯი უზრუნველყოფს მათთვის ტრენინგებს, ორგანიზებას უწევს მასწავლებლებს შორის სწავლება - შეფასების ნაწილში გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. მასწავლებლები უკუკავშირს სასწავლო პროცესის ეფექტურობასთან დაკავშირებით ასახავენ კალენდარულ გეგმებში, სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით, კოლეჯი თანამშრომლობს პრაქტიკის ობიექტებთან/პარტნიორ ორგანიზაციებთან.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას, კოლეჯი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, როგორც შშმ და სსსმ სტატუსის მქონე პირებთან მიმართებაში ასევე, იმ პირთა მიმართ, რომლებსაც სჭირდებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება (მობილობით გადმოსული სტატუსშეჩერებული და ხვა). კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების ნაწილს გავლილი აქვს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნილი ცენტრის ტრენინგი: „სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში", რასაც წარმატებით იყენებენ სწავლების პროცესში.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კულინარიის ხელოვნება“ მოდულის „სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“ პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე, რომელებიც აღჭურვილია პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული სათანადო ინვენტარით და რომლებთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები/ხელშეკრულებები არანაკლებ პროგრამის ხანგრძლივობის ვადით, რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების, მათი მიღწევისა და დადასტურების უზრუნველსაყოფად საჭირო საკითხები, პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით; კოლეჯში მოქმედებს ,,სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქცია“. გარდა ამისა, კოლეჯში შექმნილია საგანგებო შტაბი საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით. თვალსაჩინო ადგილას და საწავლო აუდიტორიებში გამოკრულია საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა. ასევე შემუშავებული და დამტკიცებულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის უსფრთხოების წესები. გასაუბრებით დგინდება, რომ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას მასწავლებელი მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტებს ჩაუტარებს ინსტრუქტაჟს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ასევე პროფესიულ სტუდენტებს პრაქტიკის ობიექტზე ჩაუტარდებათ უსფრთხოების ინსტრუქტაჟი საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 22 თებერვლის N01-4/34 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა (სასწავლო გეგმა);
- დირექტორის 2019 წლის 30 დეკემბრის N455 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება N01-4/26,18.06.2020) „კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების წესი“,
- კალენდარული გეგმის ფორმა (დამტკიცებული დირექტორის 2019 წლის 31 ოქტომბრის N330 ბრძანებით; ცვლილება N462, 31.12.2019);
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 17 ივნისის N01-4/23 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება ბრძ. N01-4/112; 30/11/2020;N01-4/6 21.01.2021)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი/ხელშეკრულება;
- პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის უსფრთხოების წესები.
- დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეფასება ხორციელდება კანონდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ასახულია სწავლის შედეგების შეფასების სისტემა. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განთავსებულია კოლეჯის ვებ- გვერდზე. სწავლის დასაწყისში ხდება სტუდენტთა ინფორმირება აღნიშნული წესის შესახებ, რაც დასტურდება მათი ხელმოწერებით. კოლეჯში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. კოლეჯი დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების წესი“, რომლის მიხედვითაც ხდება შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება. აგრეთვე კოლეჯში შემუშავებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მარეგულირებელი წესები, რომლებშიც ასხულია შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი" დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი", რომელიც მოიცავს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს. რეგულაცია შემუშავდა ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციებიდან გამომდინარე. კოლეჯი საქმიანობას განახორციელებს აღნიშნული წესის შესაბამისად.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯი შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი"-ს შესაბამისად. კოლეჯში მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები მუდმივად.კოლეჯს შემუშავებული აქვს „კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების წესი",წესის თანახმად განხორციელდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს რეგულაცია „ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია", რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებათა კვლევას, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კვლევებთან ერთად განახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერ დადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და გამოიყენებს მათ შედეგებს პროგრამის განვითარებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის N01-4/40 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“;
- „ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია“;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 ოქტომბრის N330 (ცვლილება N462, 31.12.2019) ბრძანებით დამტკიცებული შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, მოდულების სწავლის შედეგების დამადასტურებელი თავსებადობის უწყისის ფორმა და უწყისის ფორმა ;
- დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. გასაუბრების განრიგი

25.05.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: